საქართველოს მთავრობის განკარგულება

N 2546 2018 წლის 28 დეკემბერი ქ. თბილისი

სამსახურებრივი ავტომანქანებით სარგებლობის, შესყიდვისა და განახლების საკითხების შემსწავლელი სახელმწიფო კომისიის 2018 წლის 12 დეკემბრის №5 სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილებისა და სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის" მიერ ავტოსატრანსპორტო საშუალებების გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების შესახებ

1. „სახელმწიფო ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციისა და სამსახურებრივი ავტომანქანის შესყიდვის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 თებერვლის №121 დადგენილებით დამტკიცებული „სახელმწიფო ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციისა და სამსახურებრივი ავტომანქანის შესყიდვის წესის" მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, დამტკიცდეს სამსახურებრივი ავტომანქანებით სარგებლობის, შესყიდვისა და განახლების საკითხების შემსწავლელი სახელმწიფო კომისიის მიერ 2018 წლის 12 დეკემბრის №5 სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილება.

2. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის 10^1 მუხლის მე-3 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის საფუძველზე, სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციამ" 7 ერთეული ავტოსატრანსპორტო

საშუალების (4 ცალი SKODA KODIAQ; 2 ცალი SKODA SUPERB; 1 ცალი TOYOTA CAMRY) შესყიდვა განახორციელოს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

პრემიერ-მინისტრი **მამუკა ბახტაძე**